<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---მარტი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას დასახლების I ქუჩის მონაკვეთისთვის მფრინავის რუსუდან ჟორდანიას სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას დასახლების I ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს მფრინავის რუსუდან ჟორდანიას სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

X:494682 Y:4615010
X:494645 Y:4614807
რუსუდან ჟორდანიას ქ.
X:494689 Y:4614382
X:494639 Y:4614389
N
1:4,500

რუსუდან ჟორდანია

(1915-?)

პირველი მფრინავი ქალი საქართველოს ავიაციის ისტორიაში.

დაიბადა ზუგდიდში 1915 წელს. მამა ივანე ჟორდანია პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობის დროს მძიმედ დაიჭრა და ზუგდიდში დაბრუნდა. გარდაიცვალა 1919 წელს. დედა ზინაიდა ზამბერლეტი-ჟორდანია ზუგდიდის სკოლაში ასწავლიდა გერმანულს, რუსულს, მუსიკას. ის მამინაცვლის - ზამბერლეტის გვარს ატარებდა. სკოლის დამთავრების შემდეგ რუსუდან ჟორდანიამ ჩააბარა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში. ერთი წლის სწავლის შემდეგ სამუშაოდ წავიდა „რიონჰესში“. გაწევრიანდა ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობ ნებაყოფილობით საზოგადოებაში. 1935 წლის მარტიდან იყო თბილისის საავიაციო სკოლის კურსანტი.

1935 წელს ოცი წლის გოგონა თვითმფრინავის საჭეს პირველად შეახო ხელი, მას შემდეგ მან ავიაციაში 24 წელი იმოღვაწევა, 4 ახალი ტიპის თვითმფრინავი აითვისა და ჰაერში 5500 საათი გაატარა.

პირველი ფრენა მისთვის მკაცრ გამოცდად იქცა, თუმცა ამ ფაქტს მისთვის დაბრკოლება არ შეუქმნია, ის წლების განმავლობაში მედგრად უმკლავდებოდა ამ ურთულეს პროფესიას- „მოხდა ისე, რომ 300 მეტრ სიმაღლეზე მოულოდნელად გაჩერდა მოტორი, მიწაზე მყოფნი სუნთქვაშეკრულნი იდგნენ და თვალს არ აშორებდნენ თვითმფრინავს. ჰაერში ხომ დამწყები მფრინავი იყო. წამით ქალიშვილიც შეკრთა, მაგრამ რაკი იგრძნო, რომ თვითმფრინავი ემორჩილებოდა, მაშინვე მთელი ძალა გამოიყენა და პლანირებით დაშვება დაიწყო. გაფრენა მშვიდობიანად დასრულდა, თუმცა თვითმფრინავი გარდიგარდმო დასვა“- იხსენებს პირველ ფრენას მაშინდელი მედია.

რუსუდან ჟორდანია 23 წლის საფრენოსნო მუშაობის შემდეგ პენსიაზე გავიდა. ამ დროისთვის მის ანგარიშზე იყო 4 ტიპის ათვისებული თვითმფრინავი, ჰაერში გატარებული 5500 საათი. ასეთი შედეგი ბევრ სამხედრო მფრინავს არ ჰქონდა. შემდეგ მუშაობდა თვითმფრინავთა დაშვების ხელმძღვანელად რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში თბილისის აეროპორტში. წლების შემდეგ მუშაობდა აეროპორტის თბილისის საქალაქო სააგენტოს უფროსად. არჩეული იყო საავიაციო სასპორტო კლუბის თავმჯდომარედ.

სამამულო ომში გამოცდილი, მრავალი ჯილდოს მფლობელი მფრინავი საპენსიო ასაკში საავიაციო სკოლაში პედაგოგად მუშაობდა და წერდა მოგონებებს მფრინავებზე. მისი ავტორობით გამოქვეყნებულია წიგნი - „შავი ზღვის მფრინავები“, რომელიც საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინახება.